BGS

ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

# წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

# News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

**დეკემბერი / December 2025**

# დირექტორი გვამცნობს...

ძვირფასო ბიჯიესელებო - მოსწავლეებო, მშობლებო, თანამშრომლებო - გულითადად გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!!

რადგან ბიჯიესში პირველი სემესტრი იანვრის ბოლოს სრულდება, დეკემბერი არ იყო გადატვირთული შემაჯამებელი შეფასებებით თუ პრეზენტაციებით და ამიტომ მეტი დრო საახალწლო სამზადისს დაეთმო.

ტრადიციულად ყველა კლასმა დამრიგებლებთან ერთად მოაწყო საკლასო ოთახები, სკოლის ფოიეში და დარბაზში კი მოირთო დიდი ნაძვისხეები. ჩვენი მოსწავლეების ხელით დამზადებულმა მრავალფეროვანმა საახალწლო გვირგვინებმა და ნაძვის ხეებმა სკოლის კედლები მართლაც დაამშვენა, 19 დეკემბერს კი ყველამ ერთად აღვნიშნეთ დამდეგი ახალი წელი და საჩუქრები მივართვით ერთმანეთს.

დეკემბერი მეტად დატვირთული და წარმატებული აღმოჩნდა ბიჯიესისთვის: ჩვენმა სამმა მოსწავლემ წელსაც დაიმსახურა OPLA-ს ჯილდო, გვყავდა საინტერესო სტუმრები, გვქონდა სპორტული წარმატებები, ჩავერთეთ საქველმოქმედო აქტივობებში . . .

ბიჯიესში ზამთრის არდადეგები გამოცხადდა! გელით სკოლაში 12 იანვარს, 9 საათზე.

Dear BGS community - students, parents, and staff,

I warmly congratulate you all on the upcoming New Year and the joyful celebration of Christmas!

As the first semester at BGS concludes at the end of January, December was not overloaded with summative assessments or presentations. This allowed us to dedicate more time to New Year preparations and celebrations.

Traditionally, all students decorated their classrooms together with their homeroom teachers, while large Christmas trees were set up and adorned in the school foyer and hall. Our students' handmade New Year holiday decorations and Christmas trees added a wonderful festive touch throughout the school. On December 19th, everyone came together to celebrate the upcoming New Year and share gifts with one another.

December proved to be a particularly busy and successful month for BGS. Once again, 3 of our students earned the OPLA Award, we welcomed inspiring guests, achieved success in sports, and participated in charitable activities...

BGS is now officially on winter break! We look forward to welcoming you back to school on January 12 at 9:00 a.m.

# The Headmistress writes...

# საერთაშორისო სერტიფიკატები

# Celebrating Excellence: British International Qualifications Certificate Award Ceremony

BGS recently hosted our annual British International Qualifications Certificate Award Ceremony, celebrating the outstanding achievements of our students who successfully completed internationally recognized Pearson Edexcel International qualifications. The event was a proud moment for our entire school community, highlighting our continued commitment to academic excellence, global standards, and student success.

A special congratulation goes to our students who received Outstanding Pearson Learner Awards:

- **Giorgi Mgeladze – iPrimary Science (Best result in Europe; Teacher: Iamze Khutsishvili)**
- **Giorgi Mgeladze – iPrimary Maths (Best result in Georgia; Teacher: Mzia Vacheishvili)**
- **Irakli Iordanishvili – GCSE Russian (Best result in Georgia; Teacher: Nino Chikhladze)**
- **Elisabed Namgaladze – International GCSE English as a Second Language (Best result in Georgia; Teachers: Tamar Japaridze, Tamar Chkheidze, Maka Goginashvili)**

The certificate award ceremony was held at the Courtyard Marriott Hotel.

The audience was addressed by the Headmistress Eka Kvachantiradze, Ekaterina Velikaia (a representative of Adriatic College (Montenegro), Khatia Gogilashvili the Head of International Programmes), Tinatin Tkemeladze (a BGS parent).

We congratulate our students, teachers, and parents on this success!

# საერთაშორისო სერტიფიკატები

# Celebrating Excellence: British International Qualifications Certificate Award Ceremony

უკვე რამდენიმე წელია, ბიჯიესში განსაკუთრებულად აღვნიშნავთ ბრიტანეთიდან გამოგზავნილი საერთაშორისო გამოცდების სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალს. 2024–25 სასწავლო წელიც გამორჩეული აღმოჩნდა!

ყოველ წელს Pearson Edexcel გამოარჩევს იმ მოსწავლეებს, რომლებიც კონკრეტულ გამოცდაში აღწევენ საუკეთესო შედეგს ქვეყნის, ევროპის, აზიის ან მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ მათ ერგებათ Outstanding Pearson Learner Awards (OPLA) სერტიფიკატი.

2024/25 წლის საგამოცდო სესიაში მიღწეული უმაღლესი შედეგებისთვის ბიჯიესის სამმა მოსწავლემ 4 საგანში დაიმსახურა OPLA-ს სერტიფიკატი:

- **გიორგი მგელაძე – iPrimary Science (საუკეთესო შედეგი ევროპაში, მასწავლებელი: იამზე ხუციშვილი)**
- **გიორგი მგელაძე – iPrimary Maths (საუკეთესო შედეგი საქართველოში, მასწავლებელი: მზია ვაჩეიშვილი)**
- **ირაკლი იორდანიშვილი – GCSE Russian (საუკეთესო შედეგი საქართველოში, მასწავლებელი: ნინო ჩიხლაძე)**
- **ელისაბედ ნამგალაძე – International GCSE English as a Second Language (საუკეთესო შედეგი საქართველოში, მასწავლებლები: თამარ ჯაფარიძე, თამარ ჩხეიძე, მაკა გოგინაშვილი)**

სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სკოლის დირექტორმა ეკა კვაჭანტირაძემ, ბიჯიესის სტუმარმა, მონტენეგროს Adriatic College-ის წარმომადგენელმა- ეკატერინა ველიკაიამ, საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელმა ხატია გოგილაშვილმა და ბიჯიესის მშობელმა თინათინ ტყემელაძემ.

ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს ამ წარმატებას!

# Welcoming our colleagues from Adriatic College

# სტუმრები ბიჯიესში

მონტენეგროს Adriatic College-დან, რომელთანაც ბიჯიესს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული, გვესტუმრნენ კოლეგები ეკატერინა ველიკაია და ეკატერინა ანოხინა. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული გამოცდილების გაზიარება და მომავალი თანამშრომლობის გეგმების დასახვა.

სტუმრები დააკვირდნენ სასწავლო პროცესს, დაესწრნენ გაკვეთილებს, შეხვდნენ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ასამბლეის ფორმატში. მსგავსი ვიზიტები სასარგებლოა ორივე მხარისთვის და ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას, სამომავლო გეგმების შემუშავება-განხორციელებას.

Last week, we were delighted to welcome two colleagues - Ekaterine Velikaia & Ekaterine Anokhina - from Adriatic College located in Montenegro, whose visit provided a valuable opportunity for professional exchange and collaboration. During their stay, our guests attended a range of lessons across different year groups, observing classroom practice, student engagement, and teaching approaches in action.

In addition to classroom observations, we held productive meetings with the guests and the school leadership team, where key topics such as academic development, institutional cooperation, and future partnership opportunities were discussed. We are grateful for this enriching exchange and look forward to strengthening our collaboration in the future.

# Exploring Online Debates with ITSY

# ITSY-ის პლატფორმა

ჩვენი სკოლის ყოფილი მათემატიკის მასწავლებელი და ამჟამად ITSY-ის აღმასრულებელი დირექტორი - ალექსანდრე ბრეგაძე უფროსკლასელებს შეხვდა ასამბლეის ფარგლებში. შეხვედრის დროს მან მოსწავლეებს გააცნო ITSY-ის პლატფორმა და ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აერთიანებს იგი ადამიანებს სხვადასხვა თემაზე დებატებში მონაწილეობის მისაღებად.

სტუმარმა დეტალურად განიხილა პლატფორმის მუშაობის პრინციპები, ღია დისკუსიის მნიშვნელობა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული დებატების კულტურა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ონლაინ სივრცეში გააზრებულად და პასუხისმგებლობით ჩართვა განსხვავებული შეხედულებების განხილვის პროცესში.

We were pleased to welcome our former math teacher and the CEO of ITSY - Alexandre Bregadze - to our school, who spoke with BGS students about the ITSY platform and how it brings people together to take part in debates on a wide range of topics. The session focused on how the platform works, why open discussion and respectful debate matter, and how young people can engage thoughtfully with different viewpoints online.

# პირადი სივრცე და პირადი საზღვრები
# Personal Space and Boundaries

შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეებში პირადი საზღვრების ცნების გააზრება, საკუთარი ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური სივრცის დაცვის უნარების განვითარება და სხვისი საზღვრების პატივისცემის მნიშვნელობის ხაზგასმა.

ასამბლეის ფარგლებში ბიჯიესის ფსიქოლოგმა განიხილა მოსწავლეებთან პირადი საზღვრების ტიპები – ფიზიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური და ციფრული, ასევე საზღვრების დარღვევის გავრცელებული ფორმები მოზარდებში და სხეულისა თუ ემოციური სიგნალები, რომლებიც ასეთ დარღვევებზე მიგვანიშნებს.

მსგავსი საუბრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე, ციფრულ ეპოქაში და ხელს უწყობს უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემოს შექმნას.

The school psychologist delivered an assembly on the important topic of Personal Space and Boundaries. The aim of the session was to help students understand the concept of personal boundaries, develop skills to protect their physical, emotional, and psychological space, and recognize the importance of respecting the boundaries of others.
During the assembly, different types of personal boundaries were discussed, including physical, emotional, psychological, and digital boundaries. Students also explored common forms of boundary violations among adolescents, as well as physical and emotional signals that may indicate when boundaries are being crossed.
Such discussions are especially important in today's digital age and contribute to creating a safe, supportive, and respectful school environment.

# წინა საახალწლო დღეები ბიჯიესში
# Countdown to the New Year at BGS

მთელი სკოლა აქტიურად ჩაება საახალწლო სამზადისში: ბავშვებმა ლამაზად მორთეს საკლასო ოთახები; ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეებმა დაამზადეს ლამაზი, ფერადოვანი საახალწლო სათამაშოები და თაიგულები.

The whole school eagerly joined in the New Year preparations, with students decorating their classrooms and creating colorful decorations and festive arrangements during art classes.

## ჩემი ჩუმი მეგობარი My Secret Santa

ყველა სკოლაში არის გამორჩეული დღეები.
ბიჯიესში კი განსაკუთრებით აღვნიშნავთ 6 მაისსა და 19 დეკემბერს.
წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს ჩუმი მეგობრებისგან ბავშვებმა მიიღეს საჩუქრები.
ბიჯიესის თანამშრომლებმა კი საჩუქრების გადაცემის პროცესში განსაკუთრებული ორიგინალობა გამოიჩინეს. დარბაზში შეკრებულ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა, თავიანთი საჩუქრის ადრესატზე მინიშნებით ესაუბრა, რომ დანარჩენ მონაწილეებს გამოეცნოთ, ვის ეძღვნებოდა საჩუქარი. ეს ფორმატი, მართლაც, სახალისო და მხიარული აღმოჩნდა.

Every school has its own special days, and at BGS we especially cherish May 6th and December 19th.
On St Nicholas Day, our school was filled with excitement as students received gifts from their Secret Santas.
The celebrations were made even more memorable by the creativity of the BGS staff during the gift-giving process. Gathered in the school hall, the audience was invited to guess the recipient of each gift based on a series of playful hints. Laughter, anticipation, and joyful surprises filled the room, turning this activity into a truly fun and heart-warming celebration for everyone involved.

# წინა საახალწლო დღეები ბიჯიესში
# Countdown to the New Year at BGS

## სტუმრად ჯადოსნურ ქალაქში Visiting the Magical City

19 დეკემბერს ყველაზე პატარა ბიჯიესელები იყვნენ „ჯადოსნურ ქალაქში". მათ ძალიან იხალისეს: არაჩვეულებრივი საახალწლო განწყობა, ლამაზი ატრაქციონები, საყვარელი ნუგბარი და, რაც მთავარია, საშობაო საჩუქრები...
პატარები ძალიან ბედნიერები და შთაბეჭდილებით დახუნძლულები დაბრუნდნენ.

On December 19th, our youngest BGS students visited the Magical City. They had a wonderful time enjoying the festive atmosphere, beautiful attractions, delicious treats, and, most importantly, Christmas gifts. They came back happy, full of unforgettable impressions.

## თანადგომა Solidarity

როგორც ყოველთვის, ყველა დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო საქველქმოქმედო აქტივობებში: შეგროვდა პროდუქტი, თბილი სამოსი, თანხა, შევიძინეთ მედიკამენტები. დავეხმარეთ: დუშეთისა და ბედიანის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებს, საქველმოქმედო ფონდ - "კარიტასს", მოხუცთა თავშესაფარ - "იმედს", საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირს - "კათარზისს".
დიდი მადლობა ყველა ბიჯიესელსა და, რა თქმა უნდა, მშობლებს გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

As always, the entire BGS community enthusiastically took part in our charitable initiatives. Food, warm clothing, medicines, and financial contributions were generously collected.
The support was directed to the nursing homes for people with disabilities in Dusheti and Bediani, the Caritas charity foundation, the Imedi elderly shelter, and the international humanitarian organization Catharsis.
We extend our heartfelt thanks to the whole BGS community and, of course, to our parents for their kindness, generosity, and unwavering support.

# წინა საახალწლო დღეები ბიჯიესში
# Countdown to the New Year at BGS

## რა? სად? როდის? What? Where? When?

ბიჯიესში ჩატარდა ყველასთვის საყვარელი თამაშის - რა? სად? როდის? პირველი ტური.
სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიად დაყოფილი გუნდები, სახლების მიხედვით იყო დაკომპლექტებული.
საკმაოდ დაძაბული და საინტერესო თამაშის შედეგად მეორე ტურში გადავიდნენ:

⇒ **კელტები (I-II კლასები),**
⇒ **იბერები, კელტები, ბრიტები (III-IV კლასები),**
⇒ **იბერები (V-VI კლასები).**

აღსანიშნავია, რომ დაწყებით საფეხურზე წელს მეორედ ჩატარდა ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის?
უკვე გამოცდილ უფროსკლასელთა შედეგი კი ასეთია:

⇒ **ბრიტები ( VII-VIII კლასები)**
⇒ **კელტები (IX-X-XI-XII კლასები)**

ვულოცავთ გამარჯვებულ გუნდებს!

The first round of the much-loved intellectual game What? Where? When? was held at BGS. Teams were formed according to houses and divided according to different age categories.
After an intense and exciting round, the following teams advanced to the second stage:

⇒ **Celts (Grades I–II)**
⇒ **Iberians, Celts, Brits (Grades III–IV)**
⇒ **Iberians (Grades V–VI)**

It is worth noting that at the Primary School level, What? Where? When? was held for the second time this year.
The winners among more experienced senior students were as follows:

⇒ **Brits (Grades VII–VIII)**
⇒ **Celts (Grades IX–X–XI–XII)**

Congratulations to all winning teams!

# წინა საახალწლო დღეები ბიჯიესში
# Countdown to the New Year at BGS

## საშობაო ჩანახატი Christmas Story

დღესასწაული, რომელსაც ყველა - დიდი თუ პატარა - განსაკუთრებული სიხარულით ელოდება...
პირველკლასელებმა ძალიან თბილი და საყვარელი კომპოზიცია - „საშობაო ჩანახატი“ წარმოადგინეს ინგლისურ-ქართულ ენაზე და ამ ლამაზი წარმოდგენით მშობლებს შობა-ახალი წელი მიულოცეს

A celebration eagerly awaited by everyone - young and old alike...
Our first graders delighted the audience with a warm and charming bilingual (English - Georgian) performance, A Christmas Story.” Through this lovely presentation, they shared heartfelt Christmas and New Year wishes with their parents.

## სწავლება კეთებით Learning by Doing

ბუნებისმეტყველების გაკვეთილი, როგორც ყოველთვის, საინტერესო და შემოქმედებითი გახლდათ. მესამეკლასელებმა თავად გააკეთეს რბილი სათამაშოები.

As always, the science lesson was engaging and creative. Third-grade students enjoyed hands-on learning as they created their own soft toys.

# იავნანამ რა ჰქმნა?

# The Power of the Lullaby

VIII ალფა კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „იავნანამ რა ჰქმნა?“, რომელიც ეფუძნებოდა იაკობ გოგებაშვილის ამავე სახელწოდების ცნობილ ნაწარმოებს. ღონისძიება მიეძღვნა დიდი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის, დაბადებიდან 185 წლის იუბილეს.

Students of Grade VIII Alpha presented a literary and musical composition based on the well-known work The Power of the Lullaby by Iakob Gogebashvili.
The event was dedicated to the 185th anniversary of the birth of the great public figure and educator, Iakob Gogebashvili, and paid tribute to his lasting legacy in Georgian education and culture.

# სპორტული სიახლეები

III, IV და V კლასებს შორის ჩატარდა საჭადრაკო სასკოლო ტურნირი.

დაძაბული „შერკინების“ შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

**III კლასი**

* მაშო იზაშვილი
* ნიცა ჯაბანაშვილი
* დავით გრეკოვი

**IV კლასი**

* თორნიკე ჟვანია
* ნიკოლოზ კანკია
* საბა მირიანაშვილი

**V კლასი**

* ზუკა ნამგალაძე, ნიკოლოზ მათიაშვილი
* ჯივუ კიმი, ალექსანდრე მეფარიშვილი
* ლაზარე წერეთელი, მათე კაიუმოვი

# Sports News

A school chess tournament was held among Grades III, IV, and V. After intense “battles”, the winners were announced:

**Grade III**

* Masho Izashvili
* Nitsa Jabanashvili
* Davit Grekov

**Grade IV**

* Tornike Jvania
* Nikoloz Kankia
* Saba Mirianashvili

**Grade V**

* Zuka Namgaladze, Nikoloz Matiashvili
* Jivu Kim, Aleksandre Meparishvili
* Lazare Tsereteli, Mate Kaiumovi

# თბილისის სასკოლო საფეხბურთო ტურნირი

# Football Tournament

სასკოლო საფეხბურთო ტურნირში ბიჯიეისის უფროსკლასელთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა — გუნდი ნახევარფინალში გავიდა და ფინალურ მატჩში ღირსეული მეტოქეობა გაუწია მოწინააღმდეგეს, თუმცა შეხვედრა მცირე სხვაობით დასრულდა.
მადლობა ჩვენს ბიჭებს თავდაუზოგავი თამაშისა და პროფესიონალიზმისათვის.

BGS senior students' football team performed successfully in the Tbilisi Football Tournament. The team reached the semi-finals and put up a great performance in the final match, which ended with a narrow score difference.
Thank you to our players for their dedication, professionalism, and team spirit.

# მორიგი წარმატება

# Another Achievement

ნატალია ხვისტანმა კვლავ გაგვახარა და ტანმოვარჯიშთა საერთაშორისო შეჯიბრში სამი ოქროს მედალი მოიპოვა!

Natalia Khvistani once again made us proud by winning three gold medals at an international gymnastics competition.

ვულოცავთ მესამეკლასელ არინა კლუბოვიჩს სამეჯლისო ცეკვების კონკურსში გამარჯვებას!

Congratulations to our third-grade student, Arina Klubovich, on winning a ballroom dancing competition!

**ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს ამ მნიშვნელოვან წარმატებას!**

**We warmly congratulate our students on this remarkable achievement and wish them continued success!**

წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

# წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

# News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

## School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

## სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.